დავის გადაწყვეტის პროცესის შემაჯამებელი ანგარიში საქართველო: აჭარისწყალი ჯორჯია/მახალაკიძეები/ 2020 წლის ოქტომბერი

მოცემულ ანგარიშში წარმოდგენილია CAO შესაბამისობის საკითხებში მრჩეველი ომბუდსმენის ოფისის დავის გადაწყვეტის პროცესის მიმოხილვა, ეხება შუახევის ჰიდროელექტრო სადგურის პროექტს, პროექტი მხარდაჭერილია საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის
(#33435; #37781; #601449)
და MIGA მიერ (#12315) საქართველოში

შეჯამება

2018 წლის თებერვალში CAO-მ მიიღო საჩივარი საქართველოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, შუახევის მუნიციპალიტეტის, სოფელ მახალაკიძეების, რაბათის უბნის მოსახლეობის ჯგუფისაგან. საჩივარი ეხებოდა მოსახლეობის შუახევის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტის ნეგატიურ გავლენას და მასთან დაკავშირებულ ადგილობრივი თემის წუხილებს. პროექტს ახორციელებს კომპანია აჭარისწყალი ჯორჯია (შემდეგში კომპანია), რომელიც წარმოდგენს ინდური კომპანია „ტატა პაუერის“, ნორვეგიული კომპანია „ქლინ ენერჯი ინვესტისა“ და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ერთობლივ საწარმოს. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) და აზიის განვითარების ბანკი (ADB) ასევე პროექტის თანადამფინანსებლები არიან. საჩივარი ასევე გაეგზავნა EBRD-ის პროექტის შესაბამისობის მექანიზმს (2020 წლის ივლისიდან პროქტის ანგარიშვალდებულების დამოუკიდებელ მექანიზმი IPAM) და აზიის განვითარების ბანკის პროექტების ხელშეწყობის სპეციალურ სამსახურს (OSPF).

საჩივრის შეფასების დროს მოსარჩელე მხარემ და კომპანიამ გადაწყვიტეს ჩართულიყვნენ დავის გადაწყვეტის ნებაყოფლობით პროცესში და საჩივარში წარმოდგენილი საკითხები დიალოგის გზით მოეგვარებინათ. ასევე გადაწყდა, რომ CAO და PCM წარმართავდნენ დავის მოგვარების პროცესს, ხოლო აზიის განვითარების ბანკის ანგარიშვალდებულების მექანიზმს ექნებოდა დამკვირვებლის როლი დიალოგის პროცესში.

2018 წლის ივლისიდან 2020 წლის ივლისამდე ანგარიშვალდებულების მექანიზმების ფასილიტირებით ჩატარდა ორმხრივი და ერთობლივი შეხვედრები მხარეების მონაწლეობით, ასევე სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების მონაწილეობით. ბევრი გამოწვევა იდგა CAO-ს, PCM-ისა და მხარეების წინაშე, რამაც განაპირობა პროცესის ხანგრძლივობა. ასევე საჭირო იყო დრო, რომ მხარეებს შესაბამისი უნარ-ჩვევები გამოემუშავებინათ მედიაციაში მონაწილეობისთვის. ასევე აღსანიშნავია, მთავრობის, როგორც მთავარი

დაინტერესებული მხარის, ჩართვა და კოვიდ19-თან დაკავშირებული შეზღუდვების დაწესება. 2020 წლის აგვისტოში, მედიაციის 2 წლის თავზე, მედიაციის პროცესი დასრულდა საბოლოო შეთანხმების გარეშე იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც წარმოდგენილი იყო საჩივარში. საჩივარი ახლა გადაეცემა CAO-ს შესაბამისობის განყოფილებას, რათა შეფასდეს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა და მრავალმხრივი ინვესტიციების გარანტირების სააგენტოს საქმიანობა პროექტთან დაკავშირებით, როგორც ეს განსაზღვრულია CAO-ს საქმიანობის გზამკვლევში. ეს პროცედურა ეხება იმ საჩივრებს, რომელიც ვერ მოგვარდა დავის გადაწყვეტის პროცესის დახმარებით.

2020 წლის ივლისში მხარეებმა ბოლო ერთობლივი შეხვედრა გამართეს, რომლის ფასილიტაცია გასწია CAO-მ და PCM-მ. გაიმართა ონლაინ ვიდეო კონფერენცია პანდემიასთან დაკავშირებული რიგი შეზღუდვების, მათ შორის სამგზავრო შეზღუდვების გათვალისწინებით. შეხვედრის დროს მხარეებმა განიხილეს მათ მიერ დიალოგის პროცესის გაგრძელების შესაძლებლობა მედიაციის დასრულების შემდეგ პროექტთან დაკავშირებულ თემის წუხილებთან მიმართებაში.

შემაჯამებელი ანგარიში აღწერს დიალოგის პროცესს და მიღწეულ შედეგებს, მასში წარმოდგენილია მხარეებისა და მექანიზმების წარმომადგენლების მიერ გამოთქმული მოსაზრებები, ასევე შეჯამებულია პროცესი და გაანალიზებულია მიღებული გამოცდილება და გაკვეთილი.

ზოგადი მიმოხილვა

პროექტის შესახებ

აჭარისწყალი ჯორჯია (AGL) არის სპეციალიზებული კომპანია, რომელმაც აჭარაში, საქართველოში განავითარა კასკადური ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტი. თავდაპირველად პროექტი ითვალისწინებდა სამ ფაზას - 185 მეგავატიანი შუახევის სადგური, 150 მეგავატიანი ხომლეთის სადგური, 65 მეგავატიანი ხერთვისის სადგური. თუმცა ეს უკანასკნელი არ განხორციელებულა არსებული მნიშვნელოვანი ეკონომიკური და გარემოს მიმართ რისკების გამო, ხოლო ხომლეთი სხვა პროექტის ფარგლებში განხორციელდება, რომელსაც InfraVenture ახორციელებს. მხოლოდ შუახევის ჰესის პროექტი განხორციელდა აჭარისწყალი ჯორჯიას მიერ, რაც წარმოადგენს ერთობლივ საწარმოს ინდური ტატა პაუერის (40 პროცენტიანი წილი), ნორვეგიული ქლინ ენერგი ინვესტისა (40 პროცენტიანი წილი) და საერთაშოსიროს საფინანსო კორპორაციის (IFC) მონაწილეობით (20 პროცენტიანი წილი).

IFC-ის ინვესტიცია მოიცავს 70 მლნ აშშ დოლარის სესხს და 34 მლნ აშშ დოლარის პირდაპირ ინვესტირებას (IFC პროექტის ნომრები 33435 და 37781). საჩივრის წარდგენის დროს, IFC ახორციელებდა საკონსულტაციო პროექტს (Advisory Services project), რომელიც ახლა დასრულებულია. მას ევალებოდა მოემზადებინა ხარჯების ოპტიმიზაციის სტრატეგია დაკავშირებული პროექტის განხორციელების გეგმასთან, რაც ასევე ითვალისწინებდა მდგრადი საარსებო გარემოს განვითარებას ადგილობრივი თემისათვის და დასაქმებულებისთვის (IFC პროექტის ნომერი 601449).

მრავალმხრივი ინვესტიციების გარანტიების საგენტომ (MIGA) IFC-ის გარდა დააფინანსა ტატა პაუერი (Tata Power International Pte.Ltd) $63 მლნ აშშ დოლარით სააქციო კაპიტალის ხარჯების დასაფარად (MIGA პროექტის ნომერი 12315).

სურათი 1 - სოფელი მახალაკიძეები

საჩივარი

საქართველოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ მახალაკიძეების, რაბათის უბნის 17 მოსახლისაგან CAO-მ მიიღო საჩივარი. განხილვის და შეფასების დროს გაირკვა, რომ დაზარალებული პირების რაოდენობა 100-მდე ადამიანი იყო.

საჩივარში წარმოდგენილი წუხილები უკავშირდებოდა პროექტის გავლენას ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მათ შორის არსებულ და შესაძლო რისკებს:

- მეწყრებისა და ქვათაცვენის მომატებული რისკი სავარაუდოდ უკავშირდება პროექტის ფარგლებში შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ მიერ განხორციელებულ მშენებლობასა და აფეთქების სამუშაოებს გვირაბის გაყვანის დროს, რაც საფრთხეს უქმნის თემის ფიზიკურ უსაფრთხოებას და დაცულობას;
- კერძო სახლების დაზიანება და გრუნტის წყლის დონეებზე ზემოქმედება, სავარაუდოდ, პროექტის ფარგლებში გვირაბის გაყვანისთვის ჩატარებული აფეთქების და სამშენებლო სამუშაოების შედეგია, ასევე, შესაბამისი ქვათაცვენა და ვიბრაციის ზემოქმედება;
- მდინარე აჭარისწყლის აუზში ბიომრავალფეროვნებაზე გავლენა.

მოსარჩელე მხარემ ასევე განაცხადა, რომ აჭარისწყალი ჯორჯია შესაბამისად არ რეაგირებდა პროექტის განხორციელების დროს წარმოქმნილ რისკებზე და ასევე არ ასრულებდა იმ ვალდებულებას, რაც 2014 წელს აჭარის რეგიონულ მთავრობას, მოსახლეობასა და კომპანიას შორის გაფორმდა და რომელიც ითვალისწინებს კომპანიის მიერ კომპანსაციის უზრუნველყოფას ზიანის შემთხვევაში.

მახალაკიძეების თემის რაბათის უბნის მიერ ანგარიშვალდებულების სამივე მექანიზმის მიმართ გაგზავნილი საჩივარი იდენტურ საკითხებს და ერთი და იმავე პროექტს შეეხებოდა. ამიტომ მექანიზმებმა მხარეების თანხმობის საფუძველზე გადაწყვიტეს ერთმანეთთან ერთანამშრომლათ დროის და რესურსების დაზოგვის მიზნით, ასევე გამოეყენებინათ ურთიერთთავსებადი მიდგომები.

სურათი 2 - სოფელი მახალაკიძეები

CAO-ს შეფასება

2018 წლის აპრილში CAO-მ მიიღო საჩივარი წარმოებაში და დაიწყო საჩივრის შეფასების პროცესი. მხარეების თანხმობით და იმისათვის, რომ არააუცილებელი ხარჯები თავიდან აეცილებინათ (მგზავრობა რეგიონში, რაც გამოიწვევდა შეფასების პროცესის დროში გახანგრძლივებას) შეფასების პროცესი დისტანციურად განხორციელდა, მხარეებთან კომუნიკაცია ძირითადად სატელეფონო საუბრების საშუალებით წარიმართა, ასევე გამოყენებული იყო PCM-ისა და OSPF-ის მიერ მომზადებული დოკუმენტაცია.

შეფასების შედეგად CAO-მ შეისწავლა საკითხი, მხარეების წუხილები, რომელიც აისახა საჩივარში და განსაზღვრა თავისი როლი პროცესში. CAO არ განიხილავს წარმოდგენილი წუხილების და პრობლემების კონკრეტულ გარემოებს და არ აკეთებენ დასკვნას საჩივრის სისწორის ან მართებულობის შესახებ.

შეფასების მიმდინარეობის დროს მოსარჩელე მხარე და კომპანია შეთანხმდა დავის მოგვარების პროცესის ინიცირებაზე. რადგან არასასამართლო, არამტრული და ნეიტრალური ფორუმი საშუალებას აძლევს მხარეებს შეთანხდნენ ერთმანეთისათვის მისაღებ გადაწყვეტილებაზე იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც წარმოდგენილი იყო საჩივარში.

შესაბამისობის კრიტერიუმების შეფასების დროს, მხარეები ასევე შეთანხმდნენ, რომ EBRD- PCM და IFC-CAO ერთობლივად ხელს შეუწყობდნენ დიალოგის პროცესს, ხოლო ADB - OSPF დამკვირვებლის როლს შეასრულებდა.[1]

დავის გადაწყვეტის პროცესი

პროცესის დიზაინი და მხარეების შესაძლებლობების განვითარება

2018 წლის ივნისში CAO და PCM დაიწყეს შეხვედრები მხარეებთან ორი რეგიონული მედიატორის დახმარებით, მედიატორები დაქირავებული იყვნენ CAO-ს და PCM-ს მიერ. მედიაციის გუნდმა დაიწყო მხარეებთან მუშაობა იმისთვის, რომ განსაზღვრულიყო პროცესის სტრუქტურა. რაც ასევე მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა მოლაპარაკებების საკითხები, შეხვედრების სტრუქტურა და მოლაპარაკების პროცესის ძირითადი წესები.

გარდა ამისა, მხარეებს მიეცათ პროცესში ძირითადი წარმომადგენლების დანიშვნის შესაძლებლობა, რომლებმაც, თავის მხრივ, გაიარეს ტრენინგი მოლაპარაკებების, კონფლიქტების მოგვარებისა და ეფექტური კომუნიკაციის საკითხებზე. ტრენიგნს უძღვებოდნენ მედიატორები.

ტრენინგები დაეხმარა მხარეებს უფრო ეფექტურად და კონსტრუქციულად ჩართულიყვნენ მედიაციის პროცესში და მიეღოთ ინფორმირებული

[1] მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ ინფორმაცია საჩივრის შეფასებასთან დაკავშირებით: http://www.cao-ombudsman.org/cases/case_detail.aspx?id=1271

გადაწყვეტილებები როგორც პროცესთან, ასევე, მის შედეგებთან დაკავშირებით. PCM-CAO–ის მედიაციის გუნდის მიერ ჩატარებული ადრეული შეხვედრები დაძაბული იყო: თემის გადაუდებელი აუცილებლობა იყო დარწმუნებულიყვნენ უსაფრთხოებაში, ხოლო კომპანია უარყოფდა ბრალდებას პროექტის გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შესახებ, რაც მხარეებს შორის საწყის კომუნიკაციას ართულებდა.

სურათი 3 - მახალაკიძეების თემის წარმომადგენლები და მედიაციის გუნდი (CAO-PCM)

დიალოგის პროცესის ინიცირება

CAO-ს და PMC-ის მიერ მოწვეული პირველი ერთობლივი შეხვედრის დროს 2018 წლის ივნისში მხარეებმა ხელი მოაწერეს დიალოგის პროცესის ჩარჩო შეთანხმებას, რომელშიც განისაზღვრა პროცესის წარმმართველი პრინციპები, მხარეები სხვა საკითხებთან ერთად შეთანხმდნენ, რომ არ შეიზღუდებოდა მონაწილეთა როლები, განისაზღვრა შეხვედრების ფორმატი, გადაწყვეტილების მიღების წესები, კონფიდენციალობისა და კომუნიკაციის საკითხები. მხარეები ასევე შეთანხმდნენ, რომ დიალოგის პროცესის დროს ჩარჩო ხელშეკრულების შინაარსი კონფიდენციალური დარჩებოდა.

როგორც მოსარჩელე მხარემ, ასევე კომპანიამ შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია, მერის ხელმძღვანელობით, მიიჩნია მნიშვნელოვან დაინტერესებულ მხარედ, და მიიწვიეს მედიაციის პროცესში.

პირველ ერთობლივ შეხვედრაზე მხარეებმა გაცვალეს თვალთახედვა საჩივრის საკითხებთან დაკავშირებით. კონკრეტულად კი, მოსარჩელე მხარემ - თემმა - მთავარ პრობლემად დაასახელა მეწყრული პროცესები და ქვათაცვენა, წყლის მიწოდების შემცირება, სწორედ, ამ საკითხებზე უნდა მომხდარიყო ყურადღების გამახვილება. თემმა ასევე გამოთქვა აზრი, რომ თემის განვითარების მიზნით, თანამშრომლობის სხვა სფეროებიც შესაძლოა განხილულიყო დიალოგის ფორმატში. კომპანიის წარმომადგენლებმა თავიანთი შეხედულებები გაუზიარეს თემის წევრებს კომპანიის მიერ გადადგმული ნაბიჯების შესახებ ვითარების გაუმჯობესებისა და რისკების მონიტორინგის მიზნით, ასევე გააცნეს კომპანიის ოპერირების სტანდარტები.

სურათი 4 - ერთობლივი შეხვედრა ფასილიტირებული ანგარიშვალდებულების მექანიზმების მიერ (CAO-PCM)

მხარეებმა შემდგომ განიხილეს შესაძლო გადაწყვეტილებები, რომლებიც იქნება სიცოცხლისუნარიანი და მისაღები ორივე მხარისთვის, და დაადგინეს მხარეებს

შორის არსებული საინფორმაციო ხარვეზები, რომელთა მოგვარებაში დავის გადაწყვეტის მექანიზმი ჩაერთვებოდა.

პირველ ერთობლივ შეხვედრაზე დაისვა საკითხი პროექტის გარემოზე მიყენებული ზეგავლენის მასშტაბის შესახებ, მხარეები შეთანხმდნენ, რომ 2018 წლის ივლისში კვლავ შეხვედროდნენ ერთმანეთს ჰესის მშენებლობის შესახებ ინფორმაციის გაცვლის მიზნით, კომპანიის მხრიდან მოხდებოდა უსაფრთხოების ზომებისა და რისკების მონიტორინგის საქმიანობების წარმოდგენა.

მოლაპარაკებები ძირითად საკითხებზე

პრობლემების გადაჭრის მექნიზმის გზით გადასაჭრელი პრიორიტეტული საკითხების ერთობლივი იდენტიფიცირების შემდეგ, მხარეებმა დაიწყეს მოლაპარაკებები, PCM-CAO მედიაციის გუნდის დახმარებით, შეისწავლეს შესაძლო ეფექტური გადაწყვეტილებები. 2018 წლის სექტემბერში ჩატარებულ მეორე ერთობლივ შეხვედრაზე მხარეები შეთანხმდნენ სამუშაო ჯგუფის შექმნაზე, რომელიც შედგებოდა თემის, კომპანიისა და მუნიციპალური მთავრობის წარმომადგენლებისგან. სამუშაო ჯგუფის შექმნის მიზანი იყო მხარეთა წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობისა და მოქმედებათა დაგეგმვის კონსტრუქციული სივრცის შექმნა, რომლებსაც ჰქონდათ ვალდებულება რეგულარულად მიეწოდებინათ ინფორმაცია მხარეებისთვის და საბოლოოდ განეხილათ ორმხრივად მისაღები სამოქმედო გეგმა საჩივარში წამოჭრილ საკითხებზე.

2018 წლის დეკემბრის მესამე ერთობლივი შეხვედრის მოსამზადებლად, მედიაციის ჯგუფმა, ასევე, მონაწილეობა მიიღო აჭარის რეგიონული მთავრობის წარმომადგენლებთან შეხვედრაში მხარეების მოთხოვნით, რათა მათთვის ინფორმაცია მიეწოდებინა მიმდინარე მედიაციის პროცესის შესახებ და გაცნობოდნენ არსებული სამთავრობო პროგრამის შესაძლებლობებს, რომელიც ფინანსურად ეხმარება ოჯახებს, რომლებიც დაზარალდნენ ბუნებრივი კატასტროფების შედეგად (მაგ., "ეკომიგრაციის" პროგრამა). მახალაკიძეების თემის წევრებისთვის ამ პროგრამის აქტუალურობისა და რეგიონალური მთავრობის მხრიდან თემის პრობლემების მოგვარებით დაინტერესების გათვალისწინებით, აჭარის მთავრობა მიწვეულ იქნა პროცესში მონაწილეობის მისაღებად. 2019 წლის ივნისში მედიაციის მეოთხე ერთობლივ შეხვედრას დაესწრო აჭარის მთავრობის წარმომადგენელი.



სურათი 5 - სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა (შუახევის მერის ოფისში) – 2018 წლის სექტემბერი

ერთობლივ შეხვედრებს შორის, CAO ადგილობრივი მედიატორი განაგრძობდა მოლაპარაკებებს მხარეებთან და სხვა დაინტერესებულ

მხარეებთან პირისპირ და დისტანციური ორმხრივი შეხვედრების მეშვეობით.

სურათი 6 - შეხვედრა მახალაკიძეების თემის რაგათის უბნის წარმომადგენლებთან

მეოთხე ერთობლივი შეხვედრის დროს მხარეები შეთანხმდნენ "თემის უსაფრთხოებისა და განვითარების ერთობლივ პროგრამაზე", რომელიც ითვალისწინებდა მხარეებს და ადგილობრივ და რეგიონულ მთავრობას შორის თანამშრომლობის სტრუქტურის შექმნას მახალაკიძეების მიერ გაყვანის მოთხოვნის საპასუხოდ. კერძოდ, პროგრამამ გააერთიანა არსებული სამთავრობო ეკომიგრანტების პროგრამა კომპანიის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამის დამატებით ფინანსურ შენატანებთან თემის წევრების გაყვანის და განვითარების მხარდასაჭერად.

სურათი 7 - მედიაციის გუნდი და მახალაკიძეების თემის წარმომადგენლები

მხარეები შეთანხმდნენ, რომ პროგრამის განხორციელება დაიწყებოდა 2020 წელს, როგორც კი, კომპანია დაიწყებს ოპერირებას და შეეძლება შესაბამისი ბიუჯეტის განსაზღვრა. აჭარის მთავრობის წარმომადგენელმა, რომელიც დაესწრო მეოთხე ერთობლივ შეხვედრას დაადასტურა მთავრობის მზადყოფნა მხარი დაეჭირა პროექტისთვის როგორც სტრუქტურის, ასევე იმპლემენტაციის თვალსაზრისით. აჭარის რეგიონული მთავრობის წარმომადგენელმა დაადასტურა მთავრობის ვალდებულება, წარმართოს პროგრამის განხორციელება. თემის წევრებმა მიიღეს წინადადება ეტაპობრივი განხორციელების შესახებ, რომლის მიხედვითაც მეწყერის და ქვათაცვენის რისკის ქვეშ მყოფი ოჯახები პირველები მიიღებენ დახმარებას.

სურათი 8 - თემის წევრები და CAO-PCM მედიატორტა გუნდი მახალაკიძეებთან ერთად

მეოთხე ერთობლივი შეხვედრის შემდეგ, PCM-CAO–ის მედიაციის ჯგუფმა განაგრძო საბოლოო შეთანხმების პირობების შემუშავება მხარეებთან ორმხრივი შეხვედრების საშუალებით, რათა დაეზუსტებინათ მათ მიერ შემუშავებული პროგრამა. შედეგად, მედიაციის ჯგუფმა აღნიშნა, რომ მხარეებმა ჯერ ვერ მიაღწიეს შეთანხმებას პროგრამასთან დაკავშირებით, მაგრამ მათ შესაძლოა შეისწავლონ დიალოგში ჩართვის შესაძლებლობა დისკუსიების

გაგრძელებისთვის. ამ მიზნით, COVID-19-ის გამო დაწესებული სამგზავრო და სოციალური დისტანცირების შეზღუდვების გამო, PCM ექსპერტმა და ადგილობრივმა მედიატორმა მოამზადეს მეხუთე ერთობლივ შეხვედრა, რომელიც ჩატარდა ვიდეოკონფერენციის საშუალებით, სადაც მხარეები ერთად იმყოფებოდნენ ჰესის ოფისში და იცავდნენ სოციალური დისტანცირების ყველა წესს. შედეგად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ისინი ხელს არ მოაწერენ მორიგების შეთანხმებას, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის პირობებს, მაგრამ განიხილავენ მიმდინარე დიალოგში ჩართვის შესაძლებლობას მედიაციის პროცესში დაგროვებული უნარ-ჩვევების საფუძველზე მცირე ჯგუფის მონაწილეობით.

2020 წლის ივლისში მხარეებმა ვერ შეძლეს შეთანხმების მიღწევა პროგრამის დეტალების შესახებ, ნათელი გახდა, რომ შეუძლებელი იქნებოდა მისი მიღწევა. ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომლის შესახებაც განსხვავებილი ხედვა არსებობდა, იყო ეკო მიგრაციის პროგრამაში რეგისტრირება, კომპანია თვლიდა, რომ იმისათვის, რომ თემის წევრებს კომპანიისაგან მიეღოთ მხარდაჭერა, ჯერ სახელმწიფო პროგრამაში უნდა დარეგისტირებულიყვნენ.

კომპანიამ განაცხადა, რომ კომპანიის საქმიანობის შედეგი არ არის ქვათაცვენისა და მეწყერის არსებული რისკები, ამიტომ კომპანია ვერ აიღებს მოსახლეობის გაყვანის ვალდებულებას. თუმცა ადგილობრივ მთავრობასთან ერთად შეეცდება იპოვოს გამოსავალი. ასევე კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში გააგრძელებს თემის მხარდაჭერას.

ერთობლივი შეხვედრის დროს მხარეებმა განიხილეს კომპანიის წინადადება, კომპანიამ წარმოადგინა „მეზობლობის“ კონცეფცია და სოციალური პასუხისმგებლობის ფილოსოფია. მიუხედავად იმისა, რომ მხარეებისაგან იყო მცდელობა ურთიერთმისაღებ შეთანხმებამდე მისულიყვნენ, მათ ვერ შეძლეს გადაელახათ არსებული განსხვავებული ხედვები წარმოდგენილი წინადადების შესახებ და მიეღწიათ პრობლემის და მისი მოგვარების გზების საერთო ხედვისათვის.

გარდა ამისა, თემის აზრით, კომპანიის მიერ შეთავაზებული წინადადება დაწყვილებული სამთავრობო პროგრამასთან, სრულიად არასაკმარისია მოსახლეობის გასაყვანად მიწისა და კერძო საკუთრების ბაზარზე არსებული ფასების გათვალისწინებით.

მიუხედავად იმისა, რომ მხარეებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას CAO-PCM-მიერ ფასილიტირებულ პროცესის შედეგად, მხარეებმა გამოთქვეს ღიაობა დარჩნენ დიალოგში ანგარიშვალდებულების მექანიზმების მხარდაჭერის ჩარჩოების გარეთ იმ უნარებითა და შესაძლებლობებით, რომელიც მათ მედიაციის პროცესში შეიძინეს.

შეხვედრის დროს CAO-ს დაუსვეს კითხვები პროცესთან და შემდეგ ნაბიჯებთან დაკავშირებით, მათ შორის შესაბამისობის საკითხებში რჩეველი ომბუდსმენის ოფისიდან საჩივრის შესაბამისობის მექანიზმებისთვის გადაცემის შესახებ, რომელიც

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა და მრავალმხრივი ინვესტირების საგარანტიო სააგენტოს საქმიანობის მართლზომიერებას იკვლევს.

სურათი 9 – კომპანიის, თემისა და შუახევის მერიის წარმომადგენლები მეოთხე ერთობლივი შეხვედრის დროს

დიალოგის შედეგები

დიალოგის პროცესისი დაწყების შემდეგ გაიმართა 19 საველე ვიზიტი და 5 ერთობლივი შეხვედრა. მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმება ვერ მოხდა მხარეების მიერ მთელი პროცესის განმავლობაში განხორციელებულმა ძალისხმევამ გამოიღო მთელი რიგი პოზიტიური შედეგები, მათ შორის:

•შეიქმნა დიალოგის უსაფრთხო სივრცე

კომპანიასა და მახალაკიძეების თემს შორის თემის პრობლემებისა და მოლოდინის განსახილველად;

•განმტკიცდა მხარეების შესაძლებლობა

ეფექტურად ჩაერთონ დიალოგის პროცესებში. მთელი პროცესის განმავლობაში მხარეები იცავდნენ ჩარჩო შეთანხმებაში გაწერილ პრინციპებს;

•მახალაკიძეეების უსაფრთხოების საკითხზე დისკუსიაში მონაწილე დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა გაფართოვდა, ადგილობრივი და რეგიონული მთავრობა ჩაერთო მოგვარების პროცესში;

.მიუხედავად იმისა, რომ დიალოგი ჩიხში შევიდა თემის მუდმივი მხარდაჭერის საჭიროება შუახევის მუნიციპალიტეტში არსებული გეოლოგიური რისკების საპასუხოდ დაადასტურა როგორც კომპანიამ, ისე მთავრობამ;

•ორივე მხარემ დაადასტურა, რომ მხოლოდ საქართველოს აჭარის რეგიონში გეოლოგიური რისკებით დაზარალებული თემებისთვის ხელმისაწვდომი სახსრები არ არის საკმარისი სრული განსახლების მხარდასაჭერად და მომავალში სხვა გზების შესწავლას საჭიროებს, თუ განსახლების საკითხი კვლავ დღის წესრიგში იქნება;

.შუახევის მუნიციპალიტეტი პრინციპულად

დათანხმდა "ბუნებრივი კატასტროფების ფონდის" დაარსებას, რომელიც ხელმისაწვდომი იქნებოდა შუახევის მუნიციპალიტეტის ყველა სოფლისთვის, კომპანიისა და სხვა დამფინანსებლების (მაგალითად, რეგიონში მოქმედი სხვა პროექტები და კომპანიები) შემოწირულობებისთვის. მხარეებმა განიხილეს მახალაკიძეების თემის ფინანსური მხარდაჭერის პროგრამის მთელი რიგი ვარიანტები, რაც შესაძლოა მხარეებმა დეტალურად შეისწავლონ მომავალში;

•თემმა მიიღო დამატებითი ინფორმაცია პროექტის სტატუსის, მისი გარემოზე ზემოქმედებისა და დადგენილი შემსუბუქების ღონისძიებების შესახებ.

სურათი 10 – თემისა და კომპანიის წარმომადგენლები მეოთხე ერთობლივი შეხვედრის შემდეგ შუახევი

მიღებული გაკვეთილები

მედიაციის პროცესი არსებული გამოწვევების გათვალისწინებით შესაძლებლობას იძლევა გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

ნდობის მშენებლობა, როგორც პროცესის დიზაინის ნაწილი

მედიაციის გუნდმა დიდი სამუშაო გასწია იმისათვის, რომ სამუშაო პროცესი მისაღები და კომფორტული ყოფილიყო მხარეებისთვის, ამის შესაძლებლობა შექმნა მხარეების საჭიროებებისა და პრიორიტეტების შესახებ მსჯელობამ და ამის შედეგად ისეთი სტრუქტურის შექმნამ, რომელიც იმუშავებდა ყველასთვის. მხარეების ჩართვამ პროცესის დიზაინში და ძირითადი პრინციპების შემუშავებაში, მათ გაუჩინა განცდა, რომ პროცესი მათ ეკუთვნით, რამაც გააძლიერება ორმხრივი ნდობა. მაგალითად, სამუშაო ჯგუფის შექმნამ და პროცესის კონფიდენციალობაზე შეთანხმებამ შექმნა უსაფრხო სივრცე მათი მონაწილეობისთვის.

დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება

დავის გადაწყვეტის პროცესში მთავრობის ჩართულობამ, რაც შეთანხმებული იყო მხარეებს შორის, მედიაციის პროცესის წარმართვის შესაძლებლობა შექმნა. როგორც მთავარი დაინტერესებული მხარის მთავრობის მონაწილეობა კომპანიას უძლიერებდა პროცესში მონაწილეობის მოტივაციას და მხარეებს აძლევდა საშუალებას მიეღოთ ინფორმაცია მთავრობის პროგრამების შესახებ, რაც მედიაციის პროცესში განიხილებოდა.

შესაძლებლობების გაძლიერება

შესაძლებლობების გაძლიერება დავის გადაწყვეტის პროცესი ყველა ეტაპზე მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით ღირებულია მედიაციის დასაწყისში, იმისათვის, რომ მხარეები მოამზადოს დიალოგისთვის და არსებული უთანსწორობა გადალახოს. ამ თვალსაზრისით, მედიატორებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს საჭირო უნარების გამოკვეთაში და მათ გაძლიერებაში და მხარეების მხარდაჭერაში საჭირო ექსპერტიზით.

გენდერული ინკლუზია

კონფლიქტი სხვადასხვაგვარად მოქმედებს გენდერულ ჯგუფებზე, მათ აქვთ განსხვავებული საჭიროებები, მოწყვლადობა, მისწრაფებები და ინტერესები კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით. ქალების ჩართვა მედიაციის პროცესში უმნიშვნელოვანესი იყო იმისათვის, რომ მათი წუხილებისა და პერსპექტივის გათვალისწინება მომხდარიყო. გარდა ამისა, ქალი წარმომადგენლების წახალისება რეალური მონაწილეობისთვის, და არა მხოლოდ

ფორმალური როლის შესასრულებლად, საშუალებას იძლევა ტრადიცული გენდერული როლებით გამოწვეული ძალთა უთანასწორობა გადაილახოს.

ტექნოლოგიების გამოყენება

გუნდის მომზადება და მექანიზმების მხრიდან პროცესის მხარდაჭერამ განსაზღვრა მეხუთე ერთობლივი შეხვედრის წარმატებით ჩატარება ონლაინ რეჟიმში სინქრონული თარგმანით.

შეჯამება და შემდეგი ნაბიჯები

მიუხედავად მხარეების მცდელობისა საჩივარში აღწერილი პრობლემები დავის გადაწყვეტის მექანიზმის დახმარებით გადაჭრილიყო, ვერ მოხერხდა, და მხარეებმა ვერ მიაღწიეს საბოლოო შეთანხმებას თემის უსაფრთხოებისა და განვითარების ერთობლივი პროგრამის განხორციელების თვალსაზრისით, მხარეები განიხილავენ დიალოგის გაგრძელებას მცირე ჯგუფში ჩართულობით მომავალში.

CAO-მ ამით დაასრულა დავის გადაწყვეტის მექანიზმის ჩართულობა და საქმე გადაეცემა შესაბამისობის მექანიზმს IFC-ისა და MIGA-ს პროექტთან დაკავშირებული საქმიანობის შესაფასებლად.